

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე ”ნორმატიული აქტების შესახებ”**  
**საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”**

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება გამოიწვია ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტმა, რომელიც პროფესიული განათლების სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული პროფესიული სააგენტოს შექმნას ითვალისწინებს. ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, ეროვნული პროფესიული სააგენტო იქნება ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შექმნაზე, რომელიც საქართველოს არსებული ყველა პროფესიისა და კვალიფიკაციის ჩამანათვალს მოიცავს. ამავე კანონპროექტის თანახმად, ეროვნული პროფესიული სააგენტო ეროვნული პროფესიულ ჩარჩოში მოყვანილი თითოეული პროფესიისათვის დაამტკიცებს პროფესიულ სტანდარტს. რამდენდაც პროფესიული სტანდარტი და ეროვნული პროფესიული ჩარჩო თავისი შინაარსით ის დოკუმენტებია, რომლებიც პროფესიული განათლების სფეროში რეგულირების საფუძველს წარმოადგენენ და გარკვეული წესების დადგენას ითვალისწინებენ, მიზანშეწონილია, რომ ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ ეს დოკუმენტები ნორმატიული აქტის სახით მიიღოს, რის გამოც წარმოადგენილი კანონპროექტი ”ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” ნორმატიული აქტების ნუსხაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს დადგენილების დამატებას ითვალისწინებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია შესაძლებელი გახადოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ ნორმატიული აქტის მიღება, კერძოდ ეროვნული პროფესიული სააგენტოს მართვის ორგანოს - პროფესიული საბჭოს მიერ დადგენილების მიღება. ეს უკანასკნელი შესაძლებელს გახდის ეროვნული პროფესიული ჩარჩოს და შესაბამისი პროფესიული სტანდარტების ნორმატიულად დამტკიცებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს მისცეს ნორმატიული აქტის - პროფესიული საბჭოს დადგენილების მიღების შესაძლებლობა, რათა ნორმატიული დოკუმენტის სახით დამტკიცდეს ეროვნული პროფესიული ჩარჩო და პროფესიული სტანდარტები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება დამატებით ხარჯებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გამოიწვევს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე  
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე  
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები  
კანონპროექტი სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება  
კანონპროექტი ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც იგი ვრცელდება, არ წარმოშობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში  
კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;  
შეფასება არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.